

**ზუგდიდის მუნიციპალიტეტი**

**სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებით შექმნილი  
სატენდერო კომისიის სხდომის**

**ოქმი №1**

17 ოქტომბერი, 2016 წელი  
ქ. ზუგდიდი (რუსთაველის ქ. №90)

**სხდომას ესწრებოდნენ:**

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე

მამუკა წოწერია – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი;

სატენდერო კომისიის წევრები

თენგიზ შანავა – ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი;

ნანი მიქენაია – საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;

რუსლან კილასონია – ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის  
სამსახურის უფროსი;

ჯაბა არდია – მშენებლობის სამსახურის უფროსი.

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები

ბესიკ ქარდავა – საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი;

აქსანა გუჩუა – იურიდიული განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა კომისიის შემადგენლობის უმრავლესობით – ხუთი წევრის  
დასწრებით.

**სხდომის დღის წესრიგი:**

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის აბასთუმნის  
ადმინისტრაციულ ერთეულში, მენჯი-ჯახუთის უბანში, ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოების  
სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით გამარტივებული ელექტრონული ტენდერის  
აუქციონის გარეშე ჩატარების შესახებ განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის განხილვა.

**მოხმინეს:** სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხზე სატენდერო კომისიის თავმჯდომარის  
მ. წოწერიას ინფორმაცია სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის  
აბასთუმნის ადმინისტრაციულ ერთეულში, მენჯი-ჯახუთის უბანში, ხიდის სარეაბილიტაციო  
სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით და კომისიას განსახილველად  
გამარტივებული ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე ჩატარების განცხადების ტექსტი და  
სატენდერო დოკუმენტაცია წარუდგინა.






**სხდომის მსვლელობა:** სატენდერო კომისიამ განიხილა სატენდერო განცხადებისა და სატენდერო  
დოკუმენტაციის პროექტები. დაადგინა ტექნიკური დავალების მონაცემები, საკვალიფიკაციო  
მოთხოვნები, ხელშეკრულების პირობები და პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი სატენდერო  
წინადადების ფორმები. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 10344,52 ლარით.

**კომისიამ გადაწყვიტა:** „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის  
შესაბამისად დამტკიცდეს, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის  
აბასთუმნის ადმინისტრაციულ ერთეულში, მენჯი-ჯახუთის უბანში, ხიდის სარეაბილიტაციო



სამუშაოების შესყიდვაზე წარმოდგენილი განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია (ტენდერის ჩატარების განცხადების ტექსტი და სატენდერო დოკუმენტაცია თან ერთვის).

დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს: უზრუნველყოს ტენდერის ჩატარების თაობაზე განცხადების განთავსება და სატენდერო დოკუმენტაციის ატვირთვა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე ([www.procurement.gov.ge](http://www.procurement.gov.ge)).

*კომისიის წევრები:*

- |    |   |              |                |    |  |               |
|----|---|--------------|----------------|----|--|---------------|
| 1. |  | მ. წოწერია   | (თავმჯდომარე). | 4. |  | რ. კილასონია. |
| 2. |  | თ. მანავა.   |                | 5. |  | ჯ. არდია.     |
| 3. |  | ნ. მიქენაია. |                |    |  |               |

*კომისიის აპარატის წევრები:*

- |    |   |             |
|----|---|-------------|
| 1. |  | ბ. ქარდავა. |
| 2. |  | ა. გუზუა.   |